

ქალაქ ქუთაისში, ლეონიძის ქუჩა N6ა საცხოვრებელი სახლის
N55 ბინის 1/2 ნაწილზე, მოქალაქე ნათელა მარგველაშვილისათვის
საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ლეონიძის ქუჩა N6ა საცხოვრებელი სახლის N55 ბინის 1/2 ნაწილში მცხოვრები მოქალაქე ნათელა მარგველაშვილის განცხადება /2013 წლის 15.02 Nმ-1896/, რითაც ითხოვს საცხოვრებელი ბინის 1/2 ნაწილზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ლეონიძის ქუჩა N6ა საცხოვრებელი სახლი N55 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ლეონიძის ქუჩა N6ა საცხოვრებელი სახლის N55 ბინის 1/2 ნაწილზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ნათელა მარგველაშვილს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ლეონიძის ქუჩა N6ა საცხოვრებელი სახლის N55 ბინის 1/2 ნაწილზე /საერთო ფართობი 69,39 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 44,84 კვ.მ, დამხმარე ფართობი 24,55 კვ.მ./ მოქალაქე ნათელა მარგველაშვილის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრამის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

ნ.კაჭკაჭიშვილი